

ტერორიზმის დაფინანსება - თანამედროვე გამოწვევა ტერორიზმთან
ბრძოლაში

ხატია ანთიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ანთიძე

01.07.2020

აბსტრაქტი

2001 წელს აშშ-ში მომხდარმა 11 სექტემბრის ტერაქტმა სახელმწიფოებს ნათლად დაანახა, რომ ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის უდიდეს გამოწვევად იქცა. ურთიერთთანამშრომლობისა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების გარეშე დანაშაულის პრევენცია შეუძლებელი იყო. ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ ტერორიზმთან ბრძოლა შეუძლებელი იყო მისი დაფინანსების აღმოფხვრის გარეშე, ამიტომაც სახელმწიფოები შეუდგნენ შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოარკვიოს, რა ხერხებითა და მეთოდებით ახერხებენ ტერორისტები ფინანსების მოძიებას დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად, რა სახის საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტები არსებობს ტერორიზმის დაფინანსების აღსაკვეთად და არის თუ არა შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ტერორიზმის დაფინანსების წყაროები, დანაშაულთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონმდებლობა და იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების აღმოფხვრაში. საერთაშორისო კანონმდებლობასა და რეკომენდაციებთან შედარების საფუძველზე განხილულია საქართველოს კანონმდებლობის თავისებურებები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია შეუძლებელია სახელმწიფოთა თანამშრომლობისა და ამ დანაშაულთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფის გარეშე, რომელიც არ შეიძლება იყოს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სტრატეგიის მსგავსი.

დანაშაულის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა სტრატეგიების მუდმივი განახლება და ახალი რეკომენდაციების შემუშავება როგორც ფინანსური სექტორისათვის, ისე საგამომიებო ორგანოებისათვის.

საძიებო სიტყვები: დაფინანსება, წყაროები, რეკომენდაციები

Abstract

The attack of 11 September, 2001 on World Trade Center in the USA highlighted the issue of terrorism and in particular, terrorism financing. International community engaged in major problems, caused by lack of sufficient legal policies for combating this crime. As it is very hard to detect terrorist financing, the initiatives taken in this field have significantly increased.

The purpose of the work is to analyze international laws for counter terrorism financing, examine the sources of financing and determine if Georgian legislation is in accordance with the international standards and Financial Action Task Force recommendations.

The crime of terrorism financing will be analyzed in connection with funding requirements of terrorists, financial sources and measures taken against the crime.

Findings of the study include that terrorism financing has specific nature and strategies for combating the crime shall not be similar to Anti-Money Laundering policy. International cooperation is the key element of countering terrorism financing.

In conclusion, terrorism can be financed by any means and by any person. It is fundamentally important for states to work cooperatively and regularly update strategies on fight against terrorism financing.

Keywords: terrorism financing, FATF recommendations, convention